ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

დასკვნა:**დ03. 3723293001**
თარიღი:**20/10/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

2023 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ

მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N33 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა 2023 წლის ბიუჯეტი, რომელიც განისაზღვრა 34 480,0 ათ. ლარით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად, პირველი ოქტომბრის მდგომარეობით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 70 273,53 ათასი ლარით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შემოსულობებმა წინა წლის გარდამავალი ნაშთების გარეშე შეადგინა 40 369,63 ათ. ლარი, რაც წლიური გეგმის 79,1%-ია, ხოლო ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 47 283,03 ათ. ლარი, რაც წლიური გეგმის 67,28%-ია.

კომისიამ იმსჯელა 2023 წლის მესამე კვარტალის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საბიუჯეტო შემოსავლების აკუმულირების პროცესი სტაბილურია, შეესაბამება გეგმიურ პარამეტრებს და აქედან გამომდინარე პროპორციულია საბიუჯეტო გადასახდელების გეგმის შესრულების მაჩვენებლებიც, ეს კი საფუძველს ქმნის წარმატებით შესრულდეს მუნიციპალიტეტის წლიური ბიუჯეტი.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარედგინოს საკრებულოს განსახილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი